სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება №25

2010 წ. 27 სექტემბერი

ქ. თბილისი

„საერთაშორისო კვლევითი ჯგუფის - დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები სამხრეთ კავკასიაში - შემადგენლობაში ქართველ მეცნიერთა ჩართვა“ კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პროგრამისა და მასში მონაწილეობის პირობების და შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ

„მეცნიერების, ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24[1] მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე–2 მუხლის მე–2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“, „ე“ და „თ“ ქვეპუნქტების საფუძველზე და სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო საბჭოს 2010 წლის 17 სექტემბრის №01 ოქმის (გადაწყვეტილების) გათვალისწინებით

ვბრძანებ:

1. 2010 წლის 27 სექტემბერს გამოცხადდეს კონკურსი “საერთაშორისო კვლევითი ჯგუფის - დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები სამხრეთ კავკასიაში - შემადგენლობაში ქართველ მეცნიერთა ჩართვა.”
2. საკონკურსო განაცხადების სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში წარმოდგენის საბოლოო ვადად განისაზღვროს 2010 წლის 7 ოქტომბერი, 18.00 საათი.
3. დამტკიცდეს „საერთაშორისო კვლევითი ჯგუფის - დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები სამხრეთ კავკასიაში - შემადგენლობაში ქართველ მეცნიერთა ჩართვა” კონკურსის პროგრამა და მასში მონაწილეობის პირობები ამ ბრძანების დანართი №1-ის შესაბამისად.
4. დამტკიცდეს „საერთაშორისო კვლევითი ჯგუფის - დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები სამხრეთ კავკასიაში - შემადგენლობაში ქართველ მეცნიერთა ჩართვა” კონკურსის შეფასების კრიტერიუმები დანართი №2-ის შესაბამისად.
5. დაევალოს ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინატორს (თ.

გორგოძეს) წინამდებარე ბრძანების საჯარო გაცნობისათვის განთავსება ფონდის ვებ-გვერდზე: www.rustaveli.org.ge

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

სულხან სისაური

გენერალური დირექტორი